2018 წლის ეროვნული ანგარიში ვეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების (განსაკუთრებით, ჯანმრთელობის უფლების) დარღვევის შესახებ

2019

EQUALITY MOVEMENT

2018 წლის ეროვნული ანგარიში გეი კაცების, სხვა MSM-ებისა და ტრანს ადამიანების უფლებების (განსაკუთრებით, ჯანმრთელობის უფლების) დარღვევის შესახებ.

ანგარიში მოამზადდა მარიამ კვარაცხელიასა და არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ.

აქტიური ჩართულობისა და აღმოჩენილი დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით **„მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიულ კოალიციას“** (ECOM), აგრეთვე იმ ადამიანებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს ანგარიშის მომზადებისას:

- იური იურსკის,
- თინათინ ზარდიაშვილს,
- ალექსანდრ პალუიანს.

Eurasian Coalition on Male Health

პუბლიკაცია მომზადდა და დაიბეჭდა „მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიული კოალიციის“ (ECOM) რეგიონული პროგრამის, „უფლება ჯანმრთელობაზე“, ფარგლებში, „შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის“ მხარდაჭერით.

აქ წარმოდგენილი შეხედულებები წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუციის პოზიციას, და არ ასახავს „შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის“ პოზიციას ან ხედვებს; აღნიშნულ მასალას არ ახლავს „შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის“ ღია ან იმპლიციტური თანხმობა ან ავტორიზაცია.

პუბლიკაცია ვრცელდება უფასოდ

„თანასწორობის მოძრაობა“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი და ინტერსექსი ადამიანებისა და ქალებისთვის თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნას; ლგბტქ თემისა და ქალების გაძლიერებით, ლგბტქ და ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების განხორციელებით და მათი ინტერესების ადვოკატირებით ორგანიზაცია ხელს უწყობს ლგბტქ თემისა და ქალთა ინტეგრაციას საზოგადოებაში. ამრიგად, „თანასწორობის მოძრაობა“ უზრუნველყოფს სოციალურ და სამართლებრივ სერვისებს ლგბტქ თემისა და ქალების გაძლიერებისა და მობილიზაციისთვის, აგრეთვე ჩართულია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში და ახორციელებს პოლიტიკის ადვოკატირებას.

www.equality.ge

www.facebook.com/equalitymovementgeorgia/

აბრევიატურები

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

შიდსი - შეძენილი იმუნური დეფიციტის სინდრომი

აცაივ - ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ აივ-ით

ლგბტ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები

MSM - კაცები, რომლებსაც სექსი აქვთ კაცებთან

ტრანსი - ადამიანები, რომელთა გენდერული იდენტობა ან გენდერული გამოხატვა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესისგან

ინტერსექსი - ადამიანები, რომელთაც თანდაყოლილი აქვთ სქესობრივ მახასიათებელთა - ქრომოსომების, გონადების, სასქესო ჰორმონების ან გენიტალიების - სხვადასხვა ვარიაციები, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის განსაზღვრებით, „არ შეესაბამება მამრი ან მდედრი სხეულის ტიპურ განსაზღვრებებს“

სოგი - სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

NGO - არასამთავრობო ორგანიზაცია

სსო - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ქოლგა ტერმინი, რომელიც მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიულ ასოციაციებს და სათემო ორგანიზაციებს

გაერო (UN) - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNAIDS - აივ-შიდსის გაეროს ერთიანი პროგრამა

ECOM - მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიული კოალიცია

სარჩევი

შესავალი 5

I. მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია - ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები..... 5

II. ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკის ანალიზი..... 6

III. ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევები..... 8

IV. დასკვნა და დეკომენდაციები 23

შესავალი

საქართველოში წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ ლგბტ ადამიანის უფლებების დაცვისთვის სამართლებრივი ნორმების შემოღება, როგორიცაა მაგალითად, 2014 წელს ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ოფისის ჩამოყალიბებასა და 2018 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნასთან ერთად. თუმცა, მიუხედავად ანტიდისკრიმინაციული და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ კანონმდებლობის არსებობისა, რაც სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასაც მოიცავს, რეალობაში ლგბტ ადამიანების მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია კვლავ გრძელდება და არსებული კანონების აღსრულება დაბრკოლებულია. საზოგადოებრივი განწყობების კვლევები[1] აჩვენებს, რომ კვლავაც შენარჩუნებულია ლგბტ ადამიანების მიმართ ნეგატიური განწყობების მაღალი დონე, რაც კანონმდებლობასა და რეალობას შორის არსებულ შეუსაბამობას წარმოაჩენს. იმავეზე მეტყველებს კიდევ ერთი მაჩვენებელი - ლგბტ ადამიანების იმიგრაციის დონე. ამის შესახებ ოფიციალური სახელმწიფო სტატისტიკა არ გაგვაჩნია, მაგრამ „თანასწორობის მოძრაობამ“ 2018 წელს დაახლოებით 50 შემთხვევა აღრიცხა, როცა ლგბტ ადამიანებმა ქვეყანა დატოვეს და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფარი მოითხოვეს.

მოცემული ანგარიში აღწერს **გეი კაცების, სხვა MSM-ებისა და ტრანს ადამიანების** უფლებებთან მიმართებაში - განსაკუთრებით, ჯანმრთელობის უფლებასთან - არსებულ სიტუაციას, აგრეთვე მოიცავს კანონმდებლობის მოკლე ანალიზს, ინფორმაციას ლგბტ ადამიანების ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებულ შემთხვევებზე, დასკვნას და რეკომენდაციებს.

I. მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია - ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები

შემთხვევები შეგროვდა „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ, „მამაკაცთა ჯანმრთელობის ევრაზიული კოალიციის“ (ECOM) მიერ რეგიონული პროგრამის, „უფლება ჯანმრთელობაზე“, ფარგლებში შემუშავებული პროტოკოლის მიხედვით. შემთხვევების შესახებ ინფორმაცია მოძიებული იქნა „თანასწორობის მოძრაობის“ სამართლებრივი დახმარების ბენეფიციარებთან ინტერვიუების შედეგად, და აგრეთვე, 2018 წელს ლგბტ აქტივისტების ან/და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული საჯარო ღონისძიებების მონიტორინგით.

[1] მაგალითად, Friedrich Ebert Stiftung-ის ეროვნული გამოკითხვის მიხედვით, 14-29 წლის რესპონდენტებში, რესპონდენტთა 44% არ ენდობა ლგბტ ადამიანებს და არ გაუხარდებოდა, თუ მათ მეზობლად ჰომოსექსუალი ადამიანი ან წყვილი დასახლდებოდა. იხ. http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13150.pdf

II. ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკის ანალიზი

(გეი კაცების, MSM-ებისა და ტრანს ადამიანების ჯანმრთელობის უფლება და სხვა ადამიანის უფლებები)

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების იმპლემენტაციისა და ეროვნულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებების თანასწორობის პრინციპების ინკორპორაციისთვის ადამიანთა ყველა კატეგორიისთვის - აცაივ-ების, გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების ჩათვლით.

საქართველომ 2014 წელს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც დაცულ კატეგორიებს შორის სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასაც მოიცავს, ასევე, შესაბამისი შესწორებები შეიტანა სხვა ძირითად ნორმებშიც, რომლებიც საჯარო ცხოვრების სხვადასხვა სფეროს არეგულირებს. თითოეული ეს შესწორება კრძალავს დისკრიმინაციას სქესისა და ჯანმრთელობის სტატუსის საფუძველზე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის „ზოგადი კომენტარებისა“ და UNAIDS-ის პოლიტიკის სახელმძღვანელოს შესაბამისად.

კანონის განმახორციელებელ ორგანოდ სახალხო დამცველის ოფისი (სდო) განისაზღვრა და მის ფარგლებში სპეციალურად ამ მიზნისთვის თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა. თანასწორობის დეპარტამენტი შეგვიძლია განვიხილოთ კვაზისასამართლო ორგანოდ, რომელიც უფლებამოსილია, შეისწავლოს დისკრიმინაციის შემთხვევები და გასცეს შესაბამისი რეკომენდაცია ან გამოვიდეს ზოგადი ინიციატივებით. თუმცა აღნიშნული ორგანოს მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ მისი გადაწყვეტილებების აღსრულება კერძო სექტორისთვის სავალდებულო არ არის; მეტიც, კერძო სექტორს არ აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ ითანამშრომლოს სდო-სთან და ა.შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სქესზე, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებულ მოტივებს დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს ყველა რელევანტური დანაშაულის შემთხვევაში, რომლებიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში. ეს წესი შესაბამისობაშია იმ მოთხოვნებთან, რომლებიც გამოთქმულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებსა და „იოგიაკარტას პრინციპებში“.[2]

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაძლიერდა, ამგვარ დარღვევებს ადეკვატური გამოძიება არ მოყვება ხოლმე.

[2] “იოგიაკარტას პრინციპები“ ადამიანის უფლებების დოკუმენტია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სფეროში; დოკუმენტი 2006 წლის ნოემბერში, იოგიაკარტაში, ინდონეზიაში ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფების შეხვედრის შედეგად შეიქმნა.

ამის მიზეზი, როგორც წესი, პოლიციაში არსებული ჰომო/ტრანსფობიური განწყობები ან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ცოდნის ნაკლებობაა.

2018 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკუთარ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შექმნა. აღნიშნული დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მონიტორინგია. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების მონიტორინგის პროცესში დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს სსო-ებთან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში სიძულვილის მოტივს დამამძიმებელ გარემოებად არ განიხილავს. უფრო მეტიც, პოლიცია არ აწარმოებს იმ შემთხვევების აღრიცხვას, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს სიძულვილის მოტივი გამოიკვეთა.

გეი კაცების და სხვა მსმ-ების დისკრიმინაციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია მსმ-ებისთვის სისხლის დონაციის აკრძალვის გაუქმება. მიუხედავად ამისა, არსებული რეგულაცია (ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება) მსმ-ებს კვლავაც უკრძალავს სისხლის დონაციას ბოლო სექსუალური აქტიდან 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული რეგულაცია „თანასწორობის მოძრაობამ“ 2018 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა და საქმის განხილვა ჯერაც მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ კანონმდებლობაში აცაივ-ების მიერ აივ-ის გადაცემა კრიმინალიზებულია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლი აფუძნებს პასუხისმგებლობას „სხვა ადამიანის შიდსით განზრახ ინფიცირების“ საფრთხის შექმნისთვის. აღნიშნული ქმედება სამიდან ხუთ წლამდე პატიმრობით ისჯება, სხვა ადამიანის შიდსით განზრახ ინფიცირება კი - ოთხიდან შვიდ წლამდე პატიმრობით.

საქართველოში მოქმედებს 2009 წელს მიღებული კანონი „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“. კანონში ჩამოყალიბებულია ბაზისური პრინციპები აივ ინფექცია/შიდსის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, ფიზიკური პირების აივ ინფექციაზე ტესტირებასთან დაკავშირებული საკითხების, აივ-ინფიცირებულ/შიდსით დაავადებულ ადამიანებზე ზრუნვისა და მკურნალობის, აგრეთვე, აივ-ინფიცირებული/შიდსით დაავადებული ადამიანების უფლებებისა და მოვალეობების, და სამედიცინო პერსონალის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ ცალკე კანონები და რეგულაციები არ არსებობს. აივ-ი გამორჩეულია იმით, რომ ცალკე კანონით რეგულირდება.

გენდერის სამართლებრივი აღიარება (გენდერის სამართლებრივი ცვლილება და მასთან დაკავშირებული პროცედურები) კვლავაც რჩება საქართველოს სახელმწიფოს გამოწვევად.

ქართული კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას, რომ მოხდეს ადამიანის სასურველი გენდერული იდენტობის სრული სამართლებრივი აღიარება ცხოვრების ყველა ასპექტში; კონკრეტულად, კანონმდებლობა არ იძლევა ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის ჩანაწერის შეცვლის უფლებას, თუკი აპლიკანტი სქესის კვლავმინიჭების ოპერაციას არ გაიკეთებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული კანონებისა და პრაქტიკის მიხედვით, გენდერის აღიარების მისაღებად ერთადერთი გზა სავალდებულო ქირურგიული ჩარევაა.

III. ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებული შემთხვევები

"თანასწორობის მოძრაობის" მიერ დოკუმენტირებული შემთხვევები

საქმე N1: (დისკრიმინაცია - ჯანმრთელობის უფლება)

2018 წლის ოქტომბერში „თანასწორობის მოძრაობას" მიმართა აზერბაიჯანის მოქალაქე ტრანსგენდერმა ქალმა, ქ.ქ-მ. მას მძიმე ფორმის ტუბერკულოზი და პნევმონია ჰქონდა. „თანასწორობის მოძრაობის" დახმარებით, ბენეფიციარმა 22 ოქტომბერს სასწრაფო დახმარება გამოიძახა. სამედიცინო პერსონალის განცხადებით, მათ პაციენტის გადაყვანის უფლება მხოლოდ „ტუბერკულოზის ცენტრში" ჰქონდათ - სასწრაფომ უარი თქვა პაციენტის სხვა დაწესებულებაში წაყვანაზე. ქ.ქ., „თანასწორობის მოძრაობის" სოციალური მუშაკის თანხლებით, „ტუბერკულოზის ცენტრში" გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ ექიმებმა პაციენტის მიმართ აგდებული დამოკიდებულება გამოიჩინეს. ისინი ამბობდნენ ფრაზებს, როგორიცაა: „ეს გოგოა თუ ბიჭი?" „ფრჩხილის ლაქი რატომ უსვია?" „ეტყობა გეი კლუბში იყავი და მაგიტომ ხარ ცუდად".

საბოლოოდ, დაწესებულებამ უარი განაცხადა ქ.ქ-ს ჰოსპიტალიზაციაზე, რადგან ის უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო. გარდა ამისა, მათ უარი განაცხადეს ნებისმიერი ანაზღაურებადი სერვისის გაცემაზე. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურმა მუშაკმა ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმე ახსნა, მას უარი ეთქვა ყველა სახის სერვისზე, მათ შორის ანალიზებსა და ჰოსპიტალიზაციაზე.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა და მოქალაქეობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: იურიდიული პირი (სამედიცინო დაწესებულება) და ექიმი

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე N2 (დისკრიმინაცია - ჯანმრთელობის უფლება)

2018 წლის 3 სექტემბერს „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა ნ.გ-მ, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება და სასჯელს იხდის თბილისის ციხეში. ნ.გ-მ შეგვატყობინა, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, მაგრამ სამედიცინო პერსონალი (ორი ადამიანი) ამას უგულისყუროდ ეკიდებოდა და საკითხს არასერიოზულად უდგებოდა. სამედიცინო პერსონალმა ნ.გ-ს არ მიაწოდა წამლები, გარდა ამისა, მისი თქმით, მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს; ექიმები/სამედიცინო მუშაკები გამოთქვამდნენ ეჭვებს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ (არა მზრუნველობით, არამედ შეურაცხმყოფელ და მის უუნარობაზე მინიშნების კონტექსტში).

„თანასწორობის მოძრაობამ“ სიტუაციის შესწავლისა და შესაბამისი ზომების მიღების თხოვნით სახალხო დამცველს მიმართა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ინდივიდები

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე N3 (კონფიდენციალობის დარღვევა - პაციენტის აივ სტატუსის გამჟღავნება - ჯანმრთელობის უფლება)

აპრილში „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი კონსულტაციისთვის მიმართა გ.ხ-მ. მისი თქმით, „შიდსის ცენტრმა“ გ.ხ-ს აივ სტატუსის შესახებ ინფორმაცია სხვა ადამიანს, X.X-ს გაუმჟღავნა, რომელიც „შიდსის ცენტრში“ პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკის (PEP) მისაღებად მივიდა. გ.ხ-ს თქმით, „შიდსის ცენტრის“ ექიმმა X.X-ს უთხრა, რომ PEP-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემდნენ, თუ ის ექიმს ეტყოდა იმ ადამიანის სახელს, ვისთანაც დაუცველი სექსი ჰქონდა და ის აივ-დადებითი ადამიანების მონაცემთა ბაზაში აღმოჩნდებოდა, ანუ ჩართული იქნებოდა “შიდსის ცენტრის“ მკურნალობის პროგრამაში. „შიდსის ცენტრმა“ დაადასტურა, რომ მათ მართლაც ჰკითხეს X.X-ს მისი სექსუალური პარტნიორის სახელი და გ.ხ-ს სახელი მონაცემთა ბაზაში მოიძიეს. „შიდსის ცენტრის“ მიხედვით, ეს კლიენტებისთვის PEP-ის მიცემის დროს ჩვეული პრაქტიკაა. გარდა ამისა, როგორც „შიდსის ცენტრი“ და სხვა სთეიქჰოლდერები აცხადებენ, PEP-ის გაცემის შესახებ პროტოკოლი არ არსებობს, განსხვავებით PrEP-ისგან

(პრეექსპოზიციური პროფილაქტიკა), რომლის შესახებ ჯანდაცვის სამინისტრომ შესაბამისი პროტოკოლი მიიღო.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: ჯანმრთელობის მდგომარეობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: სამედიცინო დაწესებულება

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე N4 (კონფიდენციალობის დარღვევა - პაციენტის აივ სტატუსის გამჟღავნება - ჯანმრთელობის უფლება)

2018 წლის იანვარში გეი კაცმა, ბ.კ-მ, თავისი აივ-დადებითი სტატუსი თავის სახლთან ახლოს მდებარე კლინიკაში სერვისის მიღების დროს სტომატოლოგს გაუმჟღავნა. პროცედურის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ბ.კ. კლინიკაში მიბრუნდა, რადგან რეცეპტთან დაკავშირებით კითხვები ჰქონდა, იქ კი გაიგონა, როგორ ლაპარაკობდა სტომატოლოგი ტელეფონზე; სტომატოლოგმა მისი აივ-სტატუსი ვიღაცას გაუმჟღავნა.

„თანასწორობის მოძრაობამ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა. ინციდენტი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებად არ შეფასდა, მაგრამ კლინიკამ რეკომენდაცია მიიღო, რომ პერსონალური მონაცემები შესაბამისი მიზეზის გარეშე არ გაევრცელებინა.

მოგვიანებით ბ.კ-მ „თანასწორობის მოძრაობას“ შეატყობინა, რომ სტომატოლოგმა სავარაუდოდ ინფორმაცია მეზობლებში გაავრცელა; შექმნილი მტრული გარემოს გამო ბ.კ. იძულებული გახდა, საცხოვრებელი შეეცვალა და სხვა უბანში გადასულიყო.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ჯანმრთელობის უფლება

დისკრიმინაციის საფუძველი: ჯანმრთელობის მდგომარეობა - აივ-დადებითი სტატუსი

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ინდივიდი (ექიმი)

საქმის სტატუსი: დასრულებული. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შემთხვევა შეისწავლა და უფლების დარღვევა არ დაადგინა. ინსპექტორმა კლინიკას ზოგადი რეკომენდაცია მისცა.

საქმე N5: (დისკრიმინაცია და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა)

2018 წლის 9 სექტემბერს, საქართველო-ლატვიას საფეხბურთო მატჩზე ლგბტ თემის წევრები და აქტივისტები შეიკრიბნენ, რათა მხარდაჭერა გამოეცხადებინათ ფეხბურთელ გურამ კაშიასთვის და ლგბტ უფლებებისთვის.

აქტივისტებს გურამ კაშიას მიმართ მადლიერების გამოხატვა სურდათ, რისთვისაც სტადიონზე მისი მხარდამჭერი ბანერები და პოსტერები მიიტანეს. თუმცა მათ უმეტესობას ლგბტ სიმბოლოები ძალისმიერად ჩამოართვეს და სტადიონზე მათი შეტანის საშუალება არ მისცეს. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცავი უწყებების ოფიცრები, რომლებიც ფანებს ჩხრეკდნენ, და ლგბტ სიმბოლოებისა და დროშების აღმოჩენის შემთხვევაში, აღნიშნულ ნივთებს შესასვლელში ატოვებინებდნენ. ფანებს სტადიონზე მხოლოდ იმ ბანერების შეტანის უფლება მისცეს, რომლებზე გამოსახულ გურამ კაშიას ლგბტ სამკლაური არ ეკეთა. აღსანიშნავია, რომ აქტივისტები ქართული კანონმდებლობისა და დინამოს სტადიონის წესების სრული დაცვით მოქმედებდნენ. მიუხედავად სამართალდამცავების მიერ განხორციელებული ცენზურისა, რამდენიმე აქტივისტმა მაინც მოახერხა, ფარულად შეეტანა ნივთები სტადიონზე. თუმცა, როგორც კი აქტივისტებმა საჯაროდ ააფრიალეს ცისარტყელას დროშა, პოლიციამ ის მათ წაართვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ძალის გადამეტებით იმოქმედეს და განახორციელეს დისკრიმინაციული აქტები, რის შედეგადაც მოხდა ლგბტ აქტივისტების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. გარდა ამისა, შსს-ს წარმომადგენლების განმარტებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სტადიონზე ნებისმიერი სიმბოლოს დაშვება აკრძალა და ისინი ფედერაციის ინსტრუქციების შესაბამისად მოქმედებდნენ. თუმცა ფეხბურთის ფედერაციამ მოგვიანებით განაცხადა, რომ მათ შეზღუდვები არ დაუწესებიათ.

„თანასწორობის მოძრაობამ“, სხვა ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან ერთად, გააკეთა განცხადება,[3] სადაც აღნიშნული ინციდენტი შეფასდა, როგორც სამართალდამცავი უწყებების მიერ დისკრიმინაციული მოტივით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი)

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: შინაგან საქმეთა სამინისტრო

[3] http://www.equality.ge/en/statement-regarding-censorship-lgbt-symbols-dinamo-stadium/

საქმის სტატუსი: მიმდინარე

საქმე N6 (დისკრიმინაცია და შევიწროება სამუშაო ადგილზე)

2018 წლის 10 ივლისს, ა.დ-მ, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა. ა.დ. თბილისში, თავის სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციას და შევიწროებას განიცდიდა. მისი თქმით, კოლეგები მას აბულინგებდნენ მისი სექსუალური იდენტობის შესახებ ჰომოფობიური კომენტარებით.

„თანასწორობის მოძრაობამ“ ა.დ-ს სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და განცხადებით მიმართა მის დამსაქმებელს, სადაც თანასწორი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა მოითხოვა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: თანასწორობის უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი), თვითგანვითარების უფლება (საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი), პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი)

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ინდივიდები

საქმის სტატუსი: დასრულებული

შემთხვევა N7 (სიძულვილის ენა - ლგბტ თემის წევრების მიმართ სიძულვილის წახალისება)

2018 წლის მაისში, საინფორმაციო ცენტრმა „ჯიხამ“ (რეგიონულმა მედია-გამოცემამ) 17 მაისამდე პერიოდში რამდენჯერმე გამოაქვეყნა ჰომოფობიური შინაარსის მასალა. მოგვიანებით, 2018 წლის 20 მაისს „ჯიხამ“ გააზიარა ვიდეო, სადაც ლევან სუთიძე 17 მაისის დემონსტრაციაზე სიტყვით გამოდის, მხარდაჭერას უცხადებს ლგბტ თემს და აკრიტიკებს ჰომოფობიას, მათ შორის მართლმადიდებლური ეკლესიის ჰომოფობიურ განწყობებს. აღნიშნული ვიდეო „ჯიხას“ ფეისბუქ-გვერდზე გაზიარდა შემდეგი მინაწერით: „ფრთხილად! საქართველოში ანტიქრისტეს ღია მიმდევრების რაოდენობა იზრდება.“

„თანასწორობის მოძრაობამ“ „ჯიხას“ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან უჩივლა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: ლგბტ თემთან აფილირების გამო მოქალაქეების პატივისა და ღირსების შელახვა

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: ჯიხა (სამეგრელოს რეგიონი)

პოტენციური დამრღვევი პირი: იურიდიული პირი

საქმის სტატუსი: დასრულებული. 2018 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ დაადგინა, რომ საინფორმაციო ცენტრ „ჯიხას“ ჟურნალისტმა (არ არის იდენტიფიცირებული) ქარტიის მე-7 პრინციპი დაარღვია,[4] რომელიც ჟურნალისტების მიერ დისკრიმინაციის წახალისებას კრძალავს.

შემთხვევა N8 (დისკრიმინაცია)

2018 წლის 30 მარტს ერთნაირსქესიანმა წყვილმა - გ.მ-მ და მისმა პარტნიორმა - თბილისში ბინა იქირავა. დროის ამ მონაკვეთში გ.მ. და მისი პარტნიორი „თანასწორობის მოძრაობის“ სამოქალაქო პარტნიორობის კამპანიისთვის ვიდეოში გადაიღეს, რომელიც ფართოდ გავრცელდა. გ.მ-ს და მისი პარტნიორის ვარაუდით, ბინის მფლობელმა ვიდეო ნახა, შეიტყო, რომ მდგმურები გეი კაცები იყვნენ, რაც მათი შეთანხმების შეწყვეტის მიზეზი გახდა.

დავა „თანასწორობის მოძრაობის“ ჩარევით გადაწყდა, შეთანხმება არ შეწყდა. ბენეფიციარის გადაწყვეტილების შესაბამისად, დამატებითი ზომები მიღებული არ ყოფილა.

პოტენციურად დარღვეული უფლება: პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი)

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამრღვევი პირი: ფიზიკური პირი

[4] “გადაწყვეტილება საქმეზე - თანასწორობის მოძრაობა ‘ჯიხას’ წინააღმდეგ“, https://goo.gl/2cDqra

საქმის სტატუსი: დასრულებული. „თანასწორობის მოძრაობამ“ დავის გადასაწყვეტად მედიაციის მეთოდი გამოიყენა. ბენეფიციარის გადაწყვეტილების შესაბამისად, დამატებითი ზომები მიღებული არ ყოფილა.

საქმე N9 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 28 სექტემბრის საღამოს თბილისში, არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ ოფისში საინფორმაციო შეხვედრა ტარდებოდა, რომელსაც დაახლოებით 30 ადამიანი ესწრებოდა. შეხვედრის მონაწილეები ოფისის უკანა ეზოში თამბაქოს ეწეოდნენ. ეზოში კიდევ ერთი სახლია, სადაც მეზობელი ოჯახი ცხოვრობს. დაახლოებით 22:00-22:30 საათზე მეზობელმა ქალმა ორგანიზაციის სტუმრებს ყვირილით, აგრესიულად მიმართა. მისი გაღიზიანება სტუმრების ხმაურმა გამოიწვია. ქალი მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში ემუქრებოდა შემდეგი ფრაზებით: „აქედან გაგაგდებთ“, „მალე ნახავთ, რაც მოგივათ“. აღნიშნული ინციდენტის გამო, „თანასწორობის მოძრაობის“ გადაწყვეტილებით, ღონისძიება შეწყდა და ორგანიზაციის თანამშრომლებმა სტუმრებს სთხოვეს, ოფისი დაეტოვებინათ. სტუმრების დიდი ნაწილი მომდევნო ოცი წუთის განმავლობაში წავიდა. დაახლოებით 23:00 საათზე ოფისში მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელი და სტუმარი იყო დარჩენილი. ოთხი მათგანი - მ.კ., ს.ჟ., ა.ბ., და მ.კ - ოფისიდან ქუჩაში გავიდა და ტაქსის ელოდებოდნენ. კიდევ ოთხმა ადამიანმა - ვ.კ-მ, რ.კ-მ, თ.ე-მ და ა.უ-მ - ოფისის უკანა კარი დაკეტა; ისინი ქუჩაში გამოსვლას უკანა ეზოს გავლით აპირებდნენ. ეზოში აღნიშნულ ოთხ აქტივისტს მეზობელი კაცი მიუახლოვდა, ის მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, შემდეგ კი ფიზიკურადაც დაესხა თავს. თავდამსხმელი რამდენიმე წამის განმავლობაში ერთ-ერთი აქტივისტის დახრჩობას ცდილობდა, თან იგინებოდა და წარმოთქვამდა ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „დაგხოცავთ, ქათმებო“, „ვინ მოგცათ თქვენ უფლებები“ და ა.შ. შემდეგ თავდამსხმელი უცნობი საგნის გამოსატანად სახლში შებრუნდა. ამ სიტუაციას შეესწრო მ.კ., რომელიც ეზოს ჭიშკრის მეორე მხარეს იმყოფებოდა და თავდამსხმელის დაბრუნებამდე ვ.კ-ს, რ.კ-ს, თ.ე-ს და ა.უ-ს ჭიშკრის გაღებაში დაეხმარა. მ.კ-მ სიტუაციის ამსახველი ვიდეოც გადაიღო. მალე თავდამსხმელიც გამოვიდა ქუჩაში და თავის მანქანასთან მივიდა, რომ იქიდან რაღაც ამოეღო, თან აქტივისტების მიმართ მუქარას აგრძელებდა. ის მანქანიდან ამოსაღებ ნივთს აქტივისტების მოკვლის განზრახვის კონტექსტში ახსენებდა. მისი ოჯახი და მეზობლები მის შეჩერებას ცდილობდნენ. იქ მყოფ აქტივისტებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ თავდამსხმელი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით იმუქრებოდა, რომელიც სავარაუდოდ მანქანაში ჰქონდა. ამით შეშინებული აქტივისტები გაიქცნენ და სხვა მანქანებს ამოეფარნენ.

აღსანიშნავია, რომ ინციდენტის მეორე დღეს, 29 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც მომხდარი ორმხრივ დაპირისპირებად შეაფასა. შსს-ს მიერ

ძალადობრივი ინციდენტის ორმხრივ კონფრონტაციად შეფასება, სადაც აგრესორი და მსხვერპლები თანაბარ მხარეებად განიხილება, სათანადოდ ვერ აფასებს ამგვარი ძალადობის სამართლებრივ და სოციალურ ასპექტებს და აჩენს ეჭვს, რომ სამართალდამცავი უწყებები მიკერძოებულად მოქმედებენ. მეტიც, აღნიშნული განცხადება გამოძიების პირველ დღეებში გამოქვეყნდა, ადეკვატური შესწავლისა და მოკვლევის გარეშე, რაც მიმდინარე გამოძიების მიმართ ნდობას ამცირებს.

„თანასწორობის მოძრაობის“ ოფისი ძალადობის რისკებისა და სიტუაციის პოტენციური ესკალაციის საფრთხის გამო დაიხურა. „თანასწორობის მოძრაობის“ თანამშრომლები მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ აივ-თან დაკავშირებული და სხვა სერვისების გაცემას, სანამ ორგანიზაციამ მისამართის შეცვლისა და ახალი ოფისის დაქირავების გადაწყვეტილება არ მიიღო.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდი

საქმის სტატუსი: მიმდინარე. მიმდინარეობს გამოძიება, თავდამსხმელი პოლიციას არ დაუკავებია.

საქმე N10 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 15 სექტემბერს, თბილისში თ.დ-ს, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, თავის საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს თავს დაესხნენ. რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. თ.დ-ს თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა და თავის კორპუსთან ახლოს მას ჰომოფობიის ნიადაგზე ხშირად აბულინგებდნენ და შეურაცხყოფდნენ. თ.დ-მ შეგვატყობინა, რომ ბიჭები ხშირად დასცინოდნენ ჩაცმის სტილისა და სიარულის მანერის გამო და „პიდარასტს“ ეძახდნენ. მაგრამ 15 სექტემბერს ერთ-ერთმა ბიჭმა თ.დ-ს ქვაც ესროლა, რამაც მას უბიძგა, რომ სამართლებრივი დახმარება ეთხოვა.

„თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით თ.დ-მ პოლიციას მიმართა.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: დასრულებული. პოლიციამ გამოძიება არ დაიწყო. პოლიციამ თავდამსხმელების იდენტიფიცირება მოახდინა და სიტყვიერად გააფრთხილა, რომ მსგავსი ქმედებების განმეორების შემთხვევაში კანონის წინაშე აგებდნენ პასუხს.

საქმე N11 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 4 სექტემბერს თ.კ-ს, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება და ი.ს-ს, რომელიც ლესბოსელ ქალად იდენტიფიცირდება, თბილისში, კაფე „ბაუჰაუსში“ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. საპირფარეშოს რიგში, თ.კ-ს უცნობმა ადამიანებმა მიმართეს, რომ „ჯენტლმენობა“ გამოეჩინა და რიგი გოგოსთვის დაეთმო. თ.კ-მ ამაზე უარი თქვა, რასაც მის მიმართ გინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა მოყვა. აღნიშნულმა ადამიანებმა თ.კ-ს „პიდარასტი“ უწოდეს. მათ ასევე ჰკითხეს ი.ს-ს - თ.კ-ს მეგობარს - ქალი იყო თუ კაცი, და განაცხადეს, რომ თუ ქალი იყო, „მაშინ მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა.“

თ.კ-მ პოლიცია გამოიძახა. საქმეში ჩაერთო „თანასწორობის მოძრაობაც“.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: დასრულებული. პოლიციამ მომხდარში დანაშაულის ნიშნები ვერ დაინახა და აღნიშნული ადამიანები მხოლოდ სიტყვიერად გააფრთხილა.

საქმე N12 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 2 აგვისტოს მ.თ., რ.დ. (რომლებიც გეი კაცებად იდენტიფიცირდებიან) და გ.ჯ. (რომელიც ლესბოსელ ქალად იდენტიფიცირდება), ქუჩაში ძაღლებს ასეირნებდნენ, როდესაც მათ მიუახლოვდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც სავარაუდოდ უცნობი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი რ.დ-ს გენდერით დაინტერესდნენ, სვამდნენ კითხვებს ფიზიკურ მახასიათებლებზე, ასევე კითხვას, „ქალი ხარ თუ კაცი?“ შემდეგ მათ რ.დ-ს და მისი მეგობრების დაცინვა დაიწყეს და მათ „პიდარასტები“ უწოდეს. ამას ჩხუბი მოყვა და ორივე მხარე ფიზიკურად დაესხა თავს ერთმანეთის. ინციდენტის შედეგად, რ.დ-ს ფეხის ძვალი გაებზარა. გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა).

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: მიმდინარე. მიმდინარეობს გამოძიება.

საქმე N13 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული - ოჯახში ძალადობა)

2018 წლის 23 ივლისს, თბილისში, ვ.კ-მ, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, „თანასწორობის მოძრაობას“ სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა. ვ.კ-მ შეგვატყობინა, რომ მისი ოჯახის წევრები - დედა და მამინაცვალი - მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ, რადგან მისი „ცხოვრების სტილი“ არ მოსწონდათ. ვ.კ-ს დედა ურეკავდა და ემუქრებოდა, რომ მის სამსახურში მივიდოდა და „სცენებს მოუწყობდა“, ყველაფერს გააკეთებდა, რათა ვ.კ-ს „შერცხვენოდა“ და „გამოსწორებულიყო“. „თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით ვ.კ-მ პოლიციას მიმართა და შემაკავებელი ორდერის გამოწერა მოითხოვა. ვ.კ-ს დედას შემაკავებელი ორდერი გამოუწერეს.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები - ოჯახის წევრები

საქმის სტატუსი: მიმდინარე. პოლიციამ შემაკავებელი ორდერი გამოწერა.

საქმე N14 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 13 ივლისს თ.ე., რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, თბილისში ბარის წინ იმყოფებოდა, როცა სამი უცნობი ადამიანი სიტყვიერად, გინებით დაესხა თავს. ერთმა მათგანმა თ.ე-ს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. კერძოდ, ამ ადამიანმა თ.ე-ს „პიდარასტი“ უწოდა, შემდეგ კი სახეში გაარტყა.

თ.ე-მ პოლიცია გამოიძახა.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: ორ თავდამსხმელს ბრალი დაედო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში „წვრილმანი ხულიგნობა“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის

166-ე მუხლი). ფიზიკური თავდასხმის ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის (ძალადობა) შესაბამისად.

საქმე N15 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 9 ივლისს მ.მ. და მისი მეგობარი, რომლებიც ტრანსგენდერ ქალებად იდენტიფიცირდებიან, ღამით ქუჩაში გადაადგილდებოდნენ. ორი უცნობი ადამიანი მათ სიტყვიერად და ფიზიკურად დაესხა თავს მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს, რომ ისინი ტრანსგენდერი ქალები იყვნენ. კერძოდ, მათ „ტრანსგენდერები და პიდარასტები“ უწოდეს. მ.მ-მ და მისმა მეგობარმა პოლიცია გამოიძახეს.

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: მიმდინარე. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა).

საქმე N16 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის ივნისში, გეი ბარ Success-სთან მანქანით მოვიდნენ უცნობი ადამიანები, სავარაუდოდ, ადგილობრივი მაცხოვრებლები და ბარის ვიზიტორების ფეხებთან მანქანა სახიფათოდ დაამუხრუჭეს. ამის შემდეგ აღნიშნული ინდივიდები მანქანიდან გადმოვიდნენ და ბარის სტუმრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მოწმეების გადმოცემით, ერთ-ერთი თავდამსხმელი მათ ფიზიკურადაც დაესხა თავს, კერძოდ, ბარის ერთ-ერთ სტუმარს სახეში გაარტყა. გამოძიება დაიწყო 126-ე მუხლით (ძალადობა), მაგრამ პოლიციამ ვერ მოახდინა იმ ადამიანის იდენტიფიცირება, ვისაც თავს ფიზიკურად დაესხნენ. სამართალდამცავებისგან მიღებული ბოლო ინფორმაციის მიხედვით, გამოძიება სავარაუდოდ ამ მიზეზის გამო შეწყდება.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: მიმდინარე. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის (ძალადობა) შესაბამისად.

საქმე N17 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 21 ივნისს ზ.ა., რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, თბილისში, მიწისქვეშა გადასასვლელში გადაადგილდებოდა, როდესაც უცნობი ადამიანი სიტყვიერად და ფიზიკურად დაესხა თავს. კერძოდ, ეს ადამიანი ამბობდა, რომ ზ.ა. ტრანსგენდერი იყო, ეკითხებოდა, რატომ ეკეთა საყურე და „პიდარასტს“ ეძახდა. შემდეგ თავდამსხმელმა ზ.ა-ს პირსინგი მოაგლიჯა და სახეში გაარტყა. ზ.ა-მ პოლიცია გამოიძახა. პოლიციელებმა მის მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს, კერძოდ, მას შემთხვევის შესახებ განაცხადის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ. გარკვეული დროის შემდეგ გამომძიებელმა განაცხადის გაკეთება დაიწყო. ზ.ა-მ რამდენჯერმე მოითხოვა, რომ გამომძიებელს ჰომოფობიური მოტივი მიეთითებინა, მაგრამ მან ეს თხოვნა არ გაითვალისწინა.

აღნიშნული შემთხვევა მედიამ გააშუქა და საჯარო ინტერესის საგნად იქცა, რადგან ზ.ა. ღიად გეი მწერალია. თავდამსხმელი დამნაშავედ სცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა). სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების გამოცხადებამდე თავდამსხმელს აღმკვეთი ღონისძიების სახით 1000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. სამართალდამცავმა უწყებამ ტრანსფობიური სიძულვილის მოტივი დაადგინა. გარდა ამისა, სამართალდამცავების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევა გენერალური ინსპექციის დეპარტამენტმა გამოიძია და „მკაცრად გააფრთხილა პოლიციელები, რომ თავიანთ მოვალეობებს გულისყურით მოეკიდონ და მოქალაქეებთან ურთიერთობისას ეთიკის ნორმები დაიცვან.“

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატვა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდი და პოლიციის ოფიცრები

საქმის სტატუსი: დასრულებული. თავდამსხმელი დამნაშავედ სცნეს. პოლიციის ოფიცრები გააფრთხილეს.

საქმე N18 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 31 მაისს, გ.კ-მ, რომელიც ტრანსგენდერი სექს-მუშაკი ქალია, თბილისში, თავის მისამართზე მუქარის წერილი მიიღო; მას გამუდმებით უკაკუნებდნენ კარზე და ურეკავდნენ, ვიღაცა ემუქრებოდა, რომ „ყელს გამოჭრიდა, რადგან ‘პიდარასტი’ იყო“. “თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით გ.კ-მ პოლიციას მიმართა.

დისკრიმინაციის საფუძველი: გენდერული იდენტობა

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური თავდამსხმელი: ინდივიდი

საქმის სტატუსი: მიმდინარე. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მუქარა).

საქმე N19 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 30 მაისს, ო.ი., რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, ღამით რუსთავში ველოსიპედს ატარებდა, როდესაც ოთხი უცნობი სიტყვიერად დაესხა თავს. ისინი ჰომოფობიურ კომენტარებს აკეთებდნენ და ო.ი-ს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ო.ი-მ პოლიცია გამოიძახა. გამოძიება დაიწყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა).

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: რუსთავი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდები

საქმის სტატუსი: დასრულებული. ოთხივე თავდამსხმელს ბრალი წაუყენეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის „წვრილმანი ხულიგნობა“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი).

საქმე N20 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

12 მაისს ბ.გ-მ, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, პოლიცია გამოიძახა, რადგან დაინახა, რომ მისი სახლის ეზოში უცნობი ადამიანი დადიოდა. ბ.გ-მ შეგვატყობინა, რომ პოლიციის ოფიცრები აღნიშნული ინციდენტის განხილვისას ჰომოფობიურ ენას იყენებდნენ. ბ.გ-მ გაიგონა, რომ პოლიციელებმა „პიდარასტი“ ახსენეს. „თანასწორობის მოძრაობა“ შსს-ს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტს დაუკავშირდა და პოლიციელთა ქცევაზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა სთხოვა.

დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციელთა ქმედებები დამატებით კითხვებს არ იწვევდა.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: პოლიციის ოფიცრები

საქმის სტატუსი: დასრულებული. შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შემთხვევა შეისწავლა და პოლიციის ოფიცრების მიერ უფლების დარღვევა არ დაადგინა.

საქმე N21 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

2018 წლის 29 აპრილს ნ.კ-ს, ნ.ს-ს, ლ.კ-ს, მ.ე.ჰ-ს, და მ.ს-ს (სამი მათგანი გეი კაცად იდენტიფიცირდება, დანარჩენი ორი კი ჰეტეროსექსუალი სისგენდერი წყვილია) თბილისში, ქუჩაში თავს დაესხა ფასტ ფუდის რესტორნის თანამშრომელი, რომელმაც მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შემთხვევის დროს ნ.კ., ნ.ს., ლ.კ., მ.ე.ჰ. და მ.ს. ტაქსიში ისხდნენ, მძღოლის გვერდით მჯდომ ადამიანს ტატუები და პირსინგები ჰქონდა, ასევე გაკეთებული ჰქონდა მაკიაჟი და მანიკური - ესვა წითელი ფრჩხილის ლაქი. მგზავრებმა ტაქსის მძღოლს სთხოვეს, მარკეტთან შეჩერებულიყო, რომ სიგარეტი ეყიდათ. ნ.ს. ტაქსიდან გადავიდა და მარკეტში შევიდა. მარკეტის გვერდით ფასტ ფუდის რესტორანი იყო. რესტორნის თანამშრომელმა ტაქსიში მსხდომი ხალხი შეამჩნია და მათი მისამართით გინება და სიტყვიერი შეურაცხყოფა დაიწყო. კერძოდ, ის მათ უწოდებდა „პიდარასტებს“, „ერის სირცხვილს“, „ქათმებს“, რომელთა ადგილი „საქათმეშია“,[5] ყვიროდა, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება, თავისუფლად ევლოთ ქუჩებში. შემდეგ ის რესტორნიდან გამოვიდა და ფიზიკურად დაესხა თავს მძღოლის გვერდით მჯდომ ადამიანს - ჯერ ფეხი ჩაარტყა, შემდეგ კი ხელები სახეში. ამ დროს ნ.ს. მარკეტიდან დაბრუნდა, დაინახა, რაც ხდებოდა და თავდამსხმელის შეჩერება სცადა, მაგრამ თავდამსხმელმა მას პერანგი შემოახია. ამ ჩხუბის დროს მ.ე.ჰ და მ.ს. მანქანიდან გადმოვიდნენ, თავდასხმელი მათაც შეეხო ფიზიკურად და ორივეს სახეში გაარტყა.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდი

საქმის სტატუსი: მიმდინარე. მიმდინარეობს გამოძიება.

[5] “საქათმე“ პენიტენციურ დაწესებულებებში იმ საკნების ან განყოფილების არაოფიციალური სახელწოდებაა, სადაც პატიმართა კონკრეტულ ჯგუფს ათავსებენ. ჯგუფში მოხვედრის მიზეზი შეიძლება იყოს პატიმრის ნამდვილი ან ნავარაუდევი სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა.

შემთხვევა N22 (სიძულვილით მოტივირებული დანაშაული)

ა.ბ-მ, რომელიც გეი კაცად იდენტიფიცირდება, „თანასწორობის მოძრაობას“ მიმართა განცხადებით, რომ ადამიანი, რომელთანაც ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა, რამდენიმე თვის განმავლობაში ფულს სძალავდა მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მის სექსუალურ ორიენტაციას გაასაჯაროებდა.

„თანასწორობის მოძრაობის“ დახმარებით, ა.ბ-მ პოლიციას მიმართა. შედეგად, ბრალდებული 2018 წლის 19 დეკემბერს დააკავეს. მას 4-იდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

დისკრიმინაციის საფუძველი: სექსუალური ორიენტაცია

ადგილმდებარეობა: თბილისი

პოტენციური დამნაშავე: ინდივიდი

საქმის სტატუსი: გამოძიება დასრულებულია. მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

IV. დასკვნა და რეკომენდაციები

ანგარიშის დასკვნა და რეკომენდაციები ეფუძნება მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილ ეროვნული კანონმდებლობის ანალიზს და „თანასწორობის მოძრაობის“ მიერ ლგბტ ადამიანების ადამიანის უფლებების დარღვევის დოკუმენტირებულ შემთხვევებსა და წარმოებულ საქმეებს.

ანგარიში მოიცავს გეი კაცების, სხვა მსმ-ებისა და ტრანს ადამიანების ადამიანის უფლებების დარღვევის 22 შემთხვევას.

დასკვნა:

გეი კაცებისა და ტრანს ქალების მიმართ ყველაზე გავრცელებული დარღვევების ფორმაა საჯარო სივრცეებში (ქუჩაში, ბარში, კლუბში და ა.შ.) სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობა. ეს სიტუაცია უცვლელია მსმ/ტრანს ადამიანების უფლებების დარღვევის 2017 წლის ანალიზთან მიმართებაში;

2018 წელს დოკუმენტირებული შემთხვევების მიხედვით, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა ჯამში **ოცდასამი გეი კაცი და ოთხი ტრანს ქალი**.

პოტენციური დამრღვევების/დამნაშავეების უმრავლესობა არის: **ფიზიკური პირები/ინდივიდები (თოთხმეტი შემთხვევა), სამართალდამცავი ინსტიტუტი/პოლიციის ოფიცრები (ოთხი შემთხვევა) და სამედიცინო დაწესებულებები/სამედიცინო მუშაკები (ოთხი შემთხვევა).**

2017 წლისგან განსხვავებით, 2018 წლის მონიტორინგის ანგარიში მოიცავს ჯანმრთელობის უფლების დარღვევის დოკუმენტირებულ შემთხვევებს. აღნიშნულ შემთხვევებში პოტენციურ დამრღვევებს/დამნაშავეებს წარმოადგენენ **ოთხი სამედიცინო მუშაკი და ორი სამედიცინო დაწესებულება** („შიდსის ცენტრი“, „ტუბერკულოზის ცენტრი“).

ანგარიში მოიცავს ერთ შემთხვევას, სადაც პოტენციური დამრღვევი/დამნაშავე **შინაგან საქმეთა სამინისტროა** და სამ შემთხვევას, სადაც პოტენციური დამრღვევი/დამნაშავე **პოლიციის ოფიცრები** არიან.

ანგარიშში მოცემულია **ჯანმრთელობის უფლების დარღვევის ოთხი შემთხვევა.** სამ შემთხვევაში გამოიკვეთა ექიმებისა და სამედიცინო მუშაკების მხრიდან გულგრილი, უგულისყურო და ზერელე დამოკიდებულება, რაც პაციენტების მიმართ შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული დამოკიდებულებით ვლინდება. მეოთხე შემთხვევაში გამოვლინდა „შიდსის ცენტრის“ მიერ კონფიდენციალობის დარღვევის ფაქტი.

მკურნალობის პროგრამების მიმდინარეობისას კონფიდენციალობის დარღვევა, მეგობრული და თანასწორობაზე დაფუძნებული სერვისების ნაკლებობა, პრევენციული

სერვისების მიმართ ნდობის ნაკლებობა, სტიგმა და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ზრდის სარისკო ქცევას, ართულებს სერვისებზე წვდომას და აბრკოლებს თემში არსებულ ეპიდემიაზე ეფექტურ რეაგირებას.

ჯანმრთელობის უფლების დარღვევის მეოთხე შემთხვევამ გამოავლინა, რომ „შიდსის ცენტრში“ არსებობს PEP-ის (პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკის) მიწოდების ხანგრძლივი პრაქტიკა იმ ფორმით, რომელიც არღვევს აივ-დადებითი ადამიანების უფლებებს. კერძოდ, ხდება აივ დადებითი ადამიანის აივ სტატუსის გამჟღავნება მისი ნებართვისა და კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე. როგორც აღმოჩნდა, წლებია „შიდსის ცენტრი“ მისდევს ამგვარ არასწორ და უფლებადამრღვევ პრაქტიკას. აღნიშნული ფაქტის ერთ-ერთი მიზეზია, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული პროტოკოლის არ არსებობა, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აღწერდა PEP-ის გაცემის პროცესს და რომლის გამოყენებაც „შიდსის ცენტრს“ შეეძლებოდა;

შემთხვევა N16-მა გამოავლინა სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრობლემა. კერძოდ, შემთხვევა N16 შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც განიმარტება 156-ე მუხლში - დევნა: „ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“ მაგრამ აღნიშნული მუხლი არ მოიცავს სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას, როგორც დაცულ საფუძველს. ეს ქმნის იმგვარ ვითარებას, რომ 156-ე მუხლის გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, როგორიცაა შემთხვევა N16), რომელიც დევნად უნდა შეფასდეს, შეუძლებელი ხდება. შედეგად, გამოძიება წყდება დანაშაულის სხვა ნიშნების არარსებობის გამო და დამნაშავე პასუხს არ აგებს;

შემთხვევა N17-მა გამოავლინა პოლიციის ოფიცრების ჰომოფობიური და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, რაც იმაში გამოიხატა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლს ინციდენტის შესახებ განაცხადის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ. მოგვიანებით, როცა პოლიციის ოფიცრებმა გადაწყვეტილება შეცვალეს, ზ.ა-მ გამომძიებელს რამდენჯერმე სთხოვა, რომ განაცხადში ჰომოფობიური მოტივი მიეთითებინა, მაგრამ ამაზე უარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ მსგავს დამოკიდებულებას ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლებს სამართლებრივ დახმარებას უწევენ;

დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, შევიწროება პოლიციის მხრიდან, სტიგმა და დისკრიმინაცია სამედიცინო დაწესებულებებში, შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულების ეფექტური მექანიზმების ნაკლებობა, სამართალდამცავების მიმართ ნდობის ნაკლებობა იწვევს დამნაშავეების დაუსჯელობას, ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლებისთვის კი ეფექტურ დაცვასა და მხარდაჭერაზე წვდომას ართულებს;

შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალიზებული დანაყოფის - ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის - შექმნა ნამდვილად პოზიტიური ნაბიჯია. თუმცა როგორც EMC

მიუთითებს, „მას საკმაოდ ფართო მანდატი აქვს, მოქმედებს, როგორც ცენტრალიზებული, კოორდინატორი ორგანო, რაც ქმნის ობიექტურ რისკებს, რომ ადგილობრივ დონეზე არსებულ გამოწვევებს ვერ აღმოფხვრის, და გამოძიების პროცესში სპეციფიკურ საკითხებს სათანადოდ ვერ უპასუხებს. დეპარტამენტს არ აქვს პრევენციული მიდგომა, და მხოლოდ დანაშაულის პროცესში გამოძიების მონიტორინგზე ფოკუსირდება."[6]

არ ხდება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის ეფექტური იმპლემენტაცია. აღნიშნულის მიზეზი სახალხო დამცველის შეზღუდული მანდატია. მაგალითად, კერძო პირები არ არიან ვალდებულები უპასუხონ და ინფორმაცია მიაწოდონ სახალხო დამცველს. აღნიშნული დაცვის მექანიზმის გასაუმჯობესებლად საჭიროა აღნიშნული პრობლემის შეძლებისდაგვარად სწრაფად აღმოფხვრა;

პოზიტიური განვითარებების მიუხედავად, საქართველოს არ გააჩნია ლგბტ ადამიანების ადამიანის უფლებების დარღვევის საწინააღმდეგო ერთიანი პოლიტიკა. მიუხედავად კანონმდებლობის და სხვადასხვა პოლიტიკის არსებობისა, სახელმწიფო მათი ეფექტურობის გასაზომად და შესაფასებლად მონაცემებს არ აგროვებს;

სახელმწიფო არ აღიარებს ტრანს ადამიანების გენდერულ იდენტობას; საქართველო ოფიციალურ დოკუმენტებში სქესის ნიშნის შეცვლისთვის კვლავაც აწესებს ძალადობრივ წინაპირობებს, რაც ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამედიცინო კლასიფიკაციები ტრანს ადამიანებისა და მათი იდენტობების პათოლოგიზაციას აღარ ახდენს, ეროვნულ დონეზე ახალი სტანდარტების განხილვა და მიღება არ მომხდარა.

სისხლის სამართლის კოდექსში და კანონში „აივ/შიდსის შესახებ" აივ/შიდსის გადაცემა ისევ კრიმინალიზებულია. შიდსის აქტივისტები და ორგანიზაციები აღნიშნულ რეგულაციებს უპირისპირდებიან, რადგან ისინი სტიგმის მაწარმოებლად და სრულიად არასაჭიროდ მიაჩნიათ. შესაბამისი რეგულაციები უკვე არსებობს სხვა კანონებში, როგორიცაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მუხლი), საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ" და საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ".

[6] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), https://goo.gl/eJ4ih8

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „თანასწორობის მოძრაობა“ მოუწოდებს:

შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურას, უზრუნველყონ:

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ სისტემური და ეფექტიანი პოლიტიკის გატარება, რაც, ინსტიტუციურ დონეზე, მოითხოვს სტრატეგიული გეგმის შემუშავებას და დამოუკიდებელი შიდა მონიტორინგის მექანიზმების შექმნას;

სამართალდამცავი უწყების ოფიცრებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ; რეგულარული მუშაობა ლგბტ ადამიანების მიმართ ტოლერანტობისა და მიმღებლობის ზრდაზე.

საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს:

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ სხვა სისხლისსამართლებრივ აქტივობებზე ადეკვატური რეაგირებისთვის ეფექტიანი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავება, რაც დამოუკიდებელი შიდა მონიტორინგის მექანიზმების შექმნასაც მოიცავს;

მონაცემთა შეგროვების სისტემის შექმნა, სადაც განცალკევებულად შეგროვდება მონაცემები დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევებზე;

არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკების ეფექტურობის გასაზომად და შესაფასებლად შესაბამის მონაცემთა შეგროვება და დამუშავება.

საქართველოს პარლამენტს, უზრუნველყოს:

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ამგვარი დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოების აქტივობათა ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი;

ჰომო/ბი/ტრანსფობიით მოტივირებული ძალადობის დასაძლევად და თანასწორობის მხარდასაჭერად საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება;

ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში შესაბამისი შესწორებების შეტანა, რათა გაძლიერდეს სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია დისკრიმინაციის შემთხვევებზე რეაგირებასა და პრევენციაზე;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესწორებების შეტანა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში სიძულვილის მოტივის დამამძიმებელ გარემოებად განხილვა;

შიდსის გადაცემისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაუქმება;

„აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, უზრუნველყოს:

PEP-ის (პოსტექსპოზიციური პროფილაქტიკის) პროტოკოლის შექმნა და დამტკიცება;

სამედიცინო დაწესებულებებში კონფიდენციალობის პრინციპების დაცვის მონიტორინგი და დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;

ექიმებში/სამედიცინო მუშაკებში ლგბტ ადამიანების მიმართ დამოკიდებულებების კვლევა და შემდგომი აქტივობების დაგეგმვა, როგორიცაა ტრენინგები, რომელიც აღნიშნულ ჯგუფს სპეციფიკურ ცოდნას მისცემს და გაზრდის მგრძნობელობას ლგბტ თემების შესახებ;

ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტებში გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე ხელმისაწვდომობა ქირურგიული ჩარევის მოთხოვნის გარეშე; ამ სერვისის ხელმისაწვდომობა იმ ტრანს ადამიანებისთვის, ვისაც ეს სჭირდება, საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრის, მიერ აღებული ვალდებულებების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოცემული რეკომენდაციების ნაწილი 2017 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების იდენტურია, რაც იმის შედეგია, რომ სახელმწიფო ორგანოები არსებულ რეკომენდაციებს არ აღასრულებენ.